

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments> განთავსებული “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გთავაზობთ “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში” (შემდგომში “სტანდარტული პირობები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

**ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მე-2 მუხლს დაემატოს 2.6. პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„2.6. კომპანიისთვის ცნობილია და წინამდებარე ხელშეკრულების დისტანციური არხ(ებ)ის (მათ შორის ინტერნეტ-ბანკით, ელექტრონული ფოსტით) საშუალებით დადასტურებით, კომპანია ადასტურებს, რომ ბანკს უფლება აქვს, კომპანიის თანხმობის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ (ნებისმიერ დროს), ნებისმიერ მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან მისი დანართ(ებ)ით და/ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული განაცხად(ებ)ით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლება. ბანკის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, ბანკი ასევე უფლებამოსილია მესამე პირ(ებ)ს გადასცეს კომპანიის შესახებ ბანკში დაცული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის შესრულებული ოპერაციების, კომპანიის მონაცემები და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია რაც მესამე პირ(ებ)სთვის საჭიროა მათ სასარგებლოდ დათმობილი უფლებ(ებ)ის ფარგლებში, კომპანიისთვის მომსახურების გასაწევად) და/ან კომპანიასთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება.“